პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი | № 6 (11617) | პარასკევი, 8 იანვარი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს, 8 იანვარს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნება საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის XXIX საქალაქო კონფერენცია

## სალამი კონფერენციის დელეგატებს!

## თბილისის კომუნისტთა კონფერენცია

**დღეს** ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში მუშაობას იწყებს თბილისის XXIX საქალაქო პარტიული კონფერენცია. თბილისის პარტიული ორგანიზაცია — ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უძველესი და მოწინავე რაზმი — თავის ამ კონფერენციაზე მოვიდა ერთიანი და შემჭიდროებული, იდეურად და ორგანიზაციულად მტკიცე და გამობრძმედილი. თბილისის მშრომელებმა შვიდწლედის პირველი წელი აღნიშნეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებით. ქალაქის მრეწველობამ ჯერ კიდევ 13 დეკემბერს უპატაკა სამშობლოს საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმის შესრულება. შვიდწლედის დავალებათა ვადამდე განაღდებისათვის ბრძოლის ავანგარდში არის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივი, რომელიც შვიდწლედის ექვს წელიწადში შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა.

დიდი საწარმოო გამარჯვებები მოიპოვეს კიროველმა ჩარხმშენებლებმა, ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი, ავტოსარემონტო, ელექტროტექნიკური და სხვა ქარხნების კოლექტივებმა.

ის დიდი წარმატებანი, რაც თბილისის მშრომელებმა მოიპოვეს, იმის შედეგია, რომ პარტიული ორგანიზაციები განუხრელად ახორციელებენ სკკპ XXI ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. პარტიულმა ორგანიზაციებმა XXI ყრილობის შემდგომ განვლილ პერიოდში ბევრი რამ გააკეთეს თავიანთი მოღვაწეობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის. ახლა მათი მუშაობა უფრო შინაარსიანი და მრავალფეროვანი გახდა, იგი მეტად დაუკავშირდა ცხოვრებას, დღევანდელი დღის ამოცანებს. მნიშვნელოვნად ამაღლდა მასების შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა, გაძლიერდა პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ღრმად სწვდებიან წარმოებას, უკეთ ხელმძღვანელობენ მასებში იდეოლოგიურ მუშაობას, ახორციელებენ ქმედით ღონისძიებებს მშრომელთა კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ ამასთანავე დასამალავი როდია, რომ დედაქალაქის მთელი რიგი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა ვერ უპასუხებს თანამედროვეობის მოთხოვნებს, მათ მოღვაწეობაში ბევრი ნაკლი და ხარვეზია. იმის გამო, რომ მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად, საქმის ცოდნით და კონკრეტულად არ ხელმძღვანელობენ საწარმოთა მუშაობას, ზოგიერთი ფაბრიკა და ქარხანა ვერ ასრულებს სახელმწიფო გეგმებს, არღვევს პროდუქციის გამოშვების ასორტიმენტს. სრულად არ არის გამოყენებული არსებული რეზერვები, სუსტია ბრძოლა ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ამ საფუძველზე შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის. ჩრდილოვანი მხარეებია თვით მოწინავე საწარმოებშიც.

ამოცანა ის არის, რომ პარტიულ კონფერენციაზე ბოლომდე გამოვააშკარაოთ ეს ნაკლოვანებანი, ვამხილოთ ცალკეულ საწარმოთა ჩამორჩენის მიზეზები და დავსახოთ მათი გამოსწორების კონკრეტული გზები.

ჩვენი ხალხისა და პარტიის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმი, რომელმაც შეაჯამა სოფლის მეურნეობაში უკანასკნელ ხანს მოპოვებული წარმატებანი და დასახა ახალი აღმავლობის გზები. ჩვენი ხალხი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას. ამ საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ თბილისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს, რომლებიც სოციალისტურ სოფელს აწვდიან სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებსა და ინვენტარს.

თბილისის კომუნისტთა კონფერენცია მუშაობას იწყებს იმ შესანიშნავ დღეებში, როცა საბჭოთა ხალხმა შეაჯამა შვიდწლედის პირველი წლის შესანიშნავი შედეგები და რწმენით შეუდგა მეორე წლის სერიოზულ დავალებათა განხორციელებას.

ზრდისა და აღმავლობის ნათელი პერსპექტივებია გადაშლილი ჩვენი საყვარელი დედაქალაქის წინაშე 1960 წელს, შვიდწლედის მეორე წელს. ამუშავდება მთელი რიგი ახალი ფაბრიკები და ქარხნები, თვალსაჩინოდ გაიზრდება სამრეწველო პროდუქციის მოცულობა, ათვისებულ იქნება ათობით ახალი სახის პროდუქცია. მარტო წელს სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებაზე 22 მილიონი მანეთი დაიხარჯება, საბინაო მშენებლობას მოხმარდება 183.400 ათასი მანეთი, ხოლო ქალაქის კომუნალურ მეურნეობას — 147.150 ათასი მანეთი. 1960 წელს მშრომელებს გადაეცემათ 121 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

თბილისის მშრომელები, რომლებსაც მიღწეულით დაკმაყოფილება არა სჩვევიათ, მზად არიან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც წარმატებით განახორციელონ შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანები. სწორედ ამ ამოცანების ღრმად შეგნებით მოვლენ დღეს თბილისის კომუნისტები თავიანთ კონფერენციაზე. თბილისის XXIX საქალაქო პარტიული კონფერენცია ახალი რწმენით აღავსებს დედაქალაქის კომუნისტებს, თბილისის ყველა მშრომელს. ისინი მზად არიან მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, ჩვენი ჭაღარა, მაგრამ მარად ახალგაზრდა დედაქალაქის აშენებასა და დამშვენებას, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

## სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომ 1960 წლის აპრილის პირველ ნახევარში ქალაქ მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში მოეწყოს საკავშირო თათბირი ქალაქთმშენებლობის შესახებ.

თათბირი მოისმენს და განიხილავს მოხსენებებს სსრ კავშირში ქალაქთმშენებლობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და თანამოხსენებებს: ქალაქების დაპროექტების მდგომარეობა და ამოცანები და დასახლებული ადგილების დაგეგმვის პროგრესული ხერხების დანერგვა; ქალაქების გაშენება, მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაციის პირობებში, ქალაქების კეთილმოწყობა, გამწვანება და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ქალაქების მთავარი არქიტექტორები, მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა ადგილობრივი ორგანოების, საპროექტო, სამეცნიერო-საკვლევი და მშენებელი ორგანიზაციების, საქალაქო მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხარეო, საოლქო აღმასკომებისა და საქალაქო აღმასკომების ხელმძღვანელი მუშაკები, სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინდოეთის ელჩი კ. პ. შ. მენონი

8 იანვარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინდოეთის ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი და საუბარი ჰქონდა მასთან.

ელჩმა ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯ. ნერუს წერილი, რომელშიც იგი სთხოვს ნ. ს. ხრუშჩოვს ეწვიოს ინდოეთს ინდონეზიაში მოგზაურობის პერიოდში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა გულთბილი მადლობა გადაუხადა თავაზიანი მიწვევისათვის და იმედი გამოთქვა, რომ შეძლებს ისარგებლოს ამ მიწვევით.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგე ვ. ი. ლიხაჩოვი.



სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე ესაუბრება რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრების მონაწილეთა ჯგუფს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# ასე დაიწყო მეგობრობა, შეჯიბრება

## რაზე მეტყველებს ეს ციფრები

500
1.000
2.500

**იაროსლავ ჩიჟიმ** 1959 წელს გაასუქა 500 ღორი და მიიღო 502 ცენტნერი ხორცი; 1960 წელს აიღო ვალდებულება გაასუქოს 1.000 ღორი და მიიღოს 1.000 ცენტნერი ხორცი; 1961 წლისათვის იკისრა გაასუქოს 2.500 ღორი და მიიღოს 2.500 ცენტნერი ხორცი.

**დავით სეფიაშვილმა** 1959 წელს გაასუქა 300 ღორი და მიიღო 450 ცენტნერი ხორცი; 1960 წლისათვის ივალდებულა გაასუქოს 700 ღორი და მიიღოს 700 ცენტნერი ხორცი; 1961 წლისათვის იკისრა გაასუქოს 2.000 ღორი და მიიღოს 2.000 ცენტნერი ღორის ხორცი.

300
700
2.000

## დ. სეფიაშვილი — ი. ჩიჟს

## ი. ჩიჟი — დ. სეფიაშვილს

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეღორე დავით სეფიაშვილმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ლვოვის ოლქის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის სახელოვანი მეღორე, სოციალისტური შრომის გმირი იაროსლავ ჩიჟი, რომელმაც ქართველი მეღორის გამოწვევა სიხარულით მიიღო. დავით სეფიაშვილმა და იაროსლავ ჩიჟიმ გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით წერილები გაუგზავნეს ერთმანეთს.



**ძვირფასო ამხანაგო!**

თქვენი სახელი ცნობილი გახდა მთელ ჩვენს სამშობლოში. თქვენი შესანიშნავი, მაღალნაყოფიერი შრომის ამბავმა მოაღწია შორეული ლვოვის ოლქის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებიდან ჩვენამდე — წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის საკოლმეურნეო ფერმებამდე. თქვენი მუშაობის გამოცდილება სამაგალითოა ყოველი ჩვენგანისათვის, თვითეული ქართველი მეღორისათვის.

სექტემბრის პლენუმამდე ჩვენს კოლმეურნეობაში მეღორეობა ჩამორჩენილი დარგი იყო. ამიტომ კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის კრებაზე ვალდებულება ვიკისრე სამუშაოდ გადავსულიყავი მეღორეობაში. პირველ წელს სუქებაზე მყავდა 40 ღორი, შემდეგ წელს 100 ღორის გასუქება ვითავე, შარშანწინ გასასუქებლად 200 ღორი მყავდა, შარშან კი 300 ღორს ვასუქებდი.

1958 წელთან შედარებით შარშან ღორის ხორცის წარმოების თვითღირებულება ერთ ცენტნერზე 40 პროცენტით შევამცირე, ხოლო ღორების საკვების თვითღირებულება 75 პროცენტამდე დავიყვანე, ერთი ღორის შენახვაზე დახარჯულია 4,7 საკვები ერთეული.

ჩემ მიერ გასუქებული თვითეული ღორის მაქსიმალური წონა 100 კილოგრამს არ აღემატება, რადგან დაკვირვებით დავრწმუნდი, რომ 100 კილოგრამის შემდეგ ღორი უმნიშვნელო რაოდენობას იმატებს და არარენტაბელურია. თქვენ დეკემბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ვალდებულება აიღეთ 1960 წელს ჩააბაროთ 1.000 ცენტნერი ღორის ხორცი.

თუ ჩემს დაკვირვებას დავეყრდნობით, მაშინ 1.000 ცენტნერი ღორის ხორცის ჩაბარებისათვის საჭიროა მოუაროთ 1.000 ღორს.

მაინტერესებს, როგორ და რა პირობებში მოუვლით მარტო თქვენ ამდენ ღორს? მე მინდა ვიმუშაო თქვენი მაგალითისამებრ.

დეკემბრის პლენუმზე წამოიწყეთ საუკეთესო ინიციატივა — გახდეთ მეღორე-მექანიზატორი, მეღორე-ტრაქტორისტი. გთხოვთ განგვიმარტოთ, კონკრეტულად როგორ შეათავსებთ ამ პროფესიებს?

ძვირფასო იაროსლავ!

თავს ვალდებულად ვთვლი ჩემი წვლილი შევიტანო შვიდწლედის დიადი ამოცანების შესრულებაში. მთელი ენერგიით ვიბრძოლო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ამაში დიდად დამეხმარება თქვენთან მეგობრობა, თქვენი გამოცდილების გაზიარება. ბევრი კარგი რამ არის ჩვენს მუშაობაშიც. მოდით, ეს ბარათი, რომელსაც გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით გიგზავნით, იყოს ჩვენს შორის, ჩვენ კოლმეურნეობებს შორის, წითელწყაროს სოფელ ჯაფარიძისა და ლვოვის ოლქის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობებს შორის დიდი მეგობრობის, შეჯიბრების დასაწყისი.

გისურვებთ წარმატებებს თქვენს საქმეში და მაგრად გართმევთ ხელს, როგორც ძვირფას ძმას.

ჩემი და ჩვენი კოლმეურნეების სალამი უკრაინელ კოლმეურნეებს, ჩვენს ძვირფას მეგობრებს!

**დავით სეფიაშვილი,**
მეღორე.
საქართველოს სსრ, წითელწყაროს რაიონი,
სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა.

**ამხანაგო სეფიაშვილო, ძვირფასო ამხანაგებო!**

სიხარულით გავეცანი თქვენს წერილს. აღმაფრთოვანა იმან, რომ მზიური საქართველოს წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეღორეები იწონებენ ჩემს შრომითს საქმიანობას, მეღორეობაში მოპოვებულ გამოცდილებას და წარმატებებს.

თქვენ გაინტერესებთ ჩემი მუშაობის გამოცდილება. ჩემს მუშაობაში უჩვეულო და განსაცვიფრებელი არაფერია. ხორცის წარმოების გადიდება არც ისე ძნელი მისაღწევია. ოღონდ საჭიროა მოწადინება, მონდომება და საქმისადმი გულისხმიერი მოპყრობა.

როგორ გავზარდოთ ხორცის წარმოება?

ამ მიზნით მე დამებადა აზრი, რომ საჭიროა ღორების დიდი რაოდენობით მოვლა-პატრონობა. ეს მარტო კი არ მოვისაზრე, არამედ პრაქტიკულადაც ვიბრძვი მისი განხორციელებისათვის. ჩვენს არტელში კოლმეურნეობის გამგეობამ საფუძვლიანად გარდაქმნა მეღორეობის ფერმა. ღორების მთელი ბინა დავყავით ტიხრებით და შევქმენით მრავალი ასეული სადგომი. ამით ღორები ერთმანეთისაგან იზოლირებული არიან. ძველ საღორეს მივაშენეთ საკვებურები, მოვაწყეთ სასუქი მოედანი, დავაყენეთ თვითსაკვებურები, გავიყვანეთ წყალსადენი. ამ გზით მივაღწიეთ იმას, რომ ერთსა და იმავე ფართობზე ხუთჯერ მეტი პირუტყვი დაეტია. ახლა ერთი მეღორე უვლის იმდენ ღორს, რამდენსაც ადრე ათეულობით ადამიანის შრომა სჭირდებოდა.

შარშან გავზარდე ხუთასი ღორი და თვითეული ცენტნერი ხორცი დაჯდა 224 მანეთი. განსაკუთრებით იაფი ჯდება ღორის ხორცი ზაფხულის პერიოდში. მაშინ ღორები მთელი დროის განმავლობაში საძოვარზე იმყოფებიან. სიმინდი, სამყურა, იონჯა მთავარია ღორების წვნიანი საკვებისათვის. ამ პერიოდში კონცენტრირებული საკვების ხარჯვა მინიმუმამდეა დაყვანილი და თვითეულ ღორს ყოველდღიურად კილოგრამზე მეტი არ სჭირდება. შემოდგომაზე ღორებს კარტოფილის, ჭარხლისა და სტაფილოს ნათესებში ვერეკები.



ძვირფასო ქართველო მეგობარო!

თქვენ გაინტერესებთ, როგორ და რამდენ ღორს ჩავაბარებ, რომ მივიღო 2.500 ცენტნერი ხორცი. ამისათვის საჭიროა მოვუარო და გავასუქო 2.500 სული ღორი.

მეცხოველეობაში შრომა არც ისე იოლი საქმეა. იგი რომ შემსუბუქდეს, საჭიროა მექანიზაცია. ამიტომ პირველ რიგში მიზნად დავისახეთ გავაფართოოთ მეღორეობის ფერმა. ამრიგად, პირუტყვს შევინახავ გამსხვილებულ ჯგუფებად. მოედნებს დავაბეტონებთ. რაიონის სარემონტო სადგური გვაძლევს ტრაქტორ „დტ-14"-ს მისაბმელით. უკვე ვისწავლე ტრაქტორისტობა. ახლა მარტო მეღორე კი არა ვარ, არამედ ტრაქტორისტიც.

მიხარია, რომ თქვენი სახით ახლობელი ადამიანი შევიძინე წითელწყაროში. ჩემთვის ძლიერ სასიხარულოა თქვენთან შეჯიბრება, რათა უფრო დაწვრილებით გავუზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება. ეს ჩვენ დაგვეხმარება წინსვლაში, დაგვეხმარება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

მეცხოველეობის ქართველ მუშაკებს ვუსურვებ დიდ წარმატებებს.

**იაროსლავ ჩიჟი,**
სოციალისტური შრომის გმირი, მეღორე.
ლვოვის ოლქი, ზოლოჩევის რაიონი,
შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობა.

# წარმატებით განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური

## საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, უდიდესი აღფრთოვანებითა და სიხარულით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელმაც შეაჯამა იმ უდიდესი მუშაობის შედეგები, რაც პარტიამ შეასრულა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის.

ქალაქისა და სოფლის მშრომელთა გულში მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწოდებამ, რომ კომუნიზმის მილიონობით მშენებელთა მთელი შემოქმედებითი ენერგია, მთელი ძალები მოვახმაროთ შვიდწლედის დიდებულ წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას.

იმ უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, რომლებიც საქართველოს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დგას, რათა შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ შემუშავებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ფართო პროგრამა, მიეძღვნა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის აქტივის 7 იანვრის კრება. კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებმა, ხელმძღვანელმა საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა მუშაკებმა, მეცნიერებმა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების ხელმძღვანელებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალისტებმა და ნოვატორებმა.

კრების პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხანაგები **ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, ი. ს. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, კ. ნ. გალიცკი, მ. მ. ლელაშვილი, ა. ნ. ინაური, გ. ა. გეგეშიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, ი. გ. რთველიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე**, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ნოვატორები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგებისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

* * *

სულ რამდენიმე დღის წინათ, ამბობს ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, ჩვენ გავაცილეთ 1959 წელი, რომელიც ჩვენი სამშობლოს ისტორიაში შევიდა როგორც მარადიული დიდების, კომუნიზმისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის შესანიშნავ გამარჯვებათა ფურცელი. 1959 წლის დამდეგს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა. მან დასახა დიდებული პროგრამა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობისა, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა. ყოველ საბჭოთა ადამიანს თავისი სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობით შეუძლია თქვას, რომ ეს პროგრამა წარმატებით ხორციელდება. შვიდწლედის გაშლილი პირველი წელი ჩვენი ხალხის შთაგონებული შრომის წელი იყო სოციალისტური მეურნეობის ყველა დარგში, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო შემართებათა და მსოფლიო ტრიუმფების წელი იყო.

1959 წელი დამთავრდა დიდი მოვლენით პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში — ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის მუშაობით, რომელმაც დასახა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ფართო პროგრამა, რომლის შესრულებაც კიდევ უფრო ლამაზს, კიდევ უფრო სასიხარულოს გახდის საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს, უკრაინის, ყაზახეთის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და აზერბაიჯანის კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მოხსენებანი სკკპ XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ. პლენუმზე ვრცელი, ღრმა შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა.

პლენუმის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სოფლის მეურნეობის ბევრმა მოწინავე მშრომელმა, მეცნიერებმა, პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა. პლენუმის მონაწილეთა შორის იყვნენ აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა წარმომადგენლები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის უხვი მოსავლისა და დიდი წველადობის ოსტატებთან, საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების წარმოების გამოცდილ ორგანიზატორებთან ერთად დაჯილდოებული არიან მთავრობის მაღალი ჯილდოებით.

დეკემბრის პლენუმმა ღრმად, ყოველმხრივ განიხილა სოფლის მეურნეობის განვითარების ძირეული საკითხები. მთავარი ყურადღება დაეთმო მიწათმოქმედების შემდგომ აღმავლობას, მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ბამბისა და სხვა კულტურების წარმოების გადიდებას; საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების ზრდას; კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნიჭიერი კადრებით განმტკიცებას; წარმოების კომპლექსურ მექანიზაციას; შრომის ნაყოფიერების გადიდებას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას; კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებას და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობა დიდ აღმავლობას განიცდის, იგი მტკიცედ ვითარდება. ამას მკაფიოდ გრძნობს თვითეული ჩვენგანი ყოველდღიურ ცხოვრებაში. საბჭოთა ადამიანები კიდევ და კიდევ რწმუნდებიან, თუ რა თანამიმდევრობითა და სიმტკიცით აწარმოებს ბრძოლას ჩვენი პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, რათა მალე შეიქმნას ჩვენს ქვეყანაში სიუხვე კვების პროდუქტებისა მოსახლეობისათვის და ნედლეულისა მრეწველობისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) პლენუმის შემდეგ გასულ მოკლე ვადაში ჩვენმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჭეშმარიტად დიდი გმირობა ჩაიდინა. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივით დროზე, გაბედულად, პრინციპულად გამოაშკარავებულ იქნა არსებული შეცდომები და დიდი ნაკლოვანებანი, რომლებიც აფერხებდნენ სოფლის მეურნეობის განვითარებას, და მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი გამოყენების საფუძველზე შეიქმნა პირობები საზოგადოებრივი წარმოების სწრაფი განვითარებისათვის.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა აითვისეს მილიონობით ჰექტარი ახალი მიწები, მკვეთრად გაადიდეს მარცვლეულის წარმოება. მიუხედავად იმისა, რომ 1959 წელი ბევრ რაიონში არახელსაყრელი იყო, პური დამზადდა 2 მილიარდ 945 მილიონი ფუთი. პურის დამზადების საშუალო დონემ უკანასკნელ 4 წელიწადში შეადგინა 3 მილიარდი ფუთი ნაცვლად წინა 4 წლის ორი მილიარდი ფუთისა. პარტიის მოწოდებით სოფლის მეურნეობის მშრომელები განსაკუთრებული ენერგიით შეუდგნენ სიმინდის მოყვანას, სიმინდის საშუალებით უზრუნველყვეს მეცხოველეობის მყარი საკვები ბაზა.

საბჭოთა ადამიანებს განსაკუთრებით ახარებს მეცხოველეობის — ის დარგის განვითარებაში მიღწეული წარმატებანი, რომელიც სულ ამ ცოტა ხნის წინათ განსაკუთრებით ჩამორჩენილი იყო. შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრებაში, იმისათვის შეჯიბრებაში, რომ მოკლე ვადაში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, სოფლის მშრომელებმა შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს. ერთ სულ მოსახლეზე კარაქის წარმოების მხრივ საბჭოთა კავშირმა უკვე გაუსწრო ამერიკას. რძის საერთო წარმოებაც ჩვენში მეტია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებს ხორცის წარმოების მხრივაც გავუსწრებთ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა შეაჯამა შედეგები ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებისა შვიდწლედის პირველი წლის მანძილზე, ცხადყო, რომ იგი სწორ გზაზეა. ჩვენ დიდი სიმაღლე და კარგი სიჩქარე ავიღეთ, თქვა თავის სიტყვაში პლენუმზე ნ. ს. ხრუშჩოვმა. ამიტომ ახლა უკვე უფრო ადვილია გადავიდეთ შემდეგ უფრო დიდ სიჩქარეზე და ავიღოთ ახალი სიმაღლე.

დიდი გამარჯვება, რომელიც პარტიამ მოიპოვა სოფლის მეურნეობის განვითარებაში, შედეგია სოფლის მშრომელთა თავდადებული შრომისა, რომელნიც კომუნისტურმა პარტიამ ნამდვილი გმირობისათვის დარაზმა. მოწინავეების, საუკეთესო მეურნეობების, რაიონების, ოლქების გამოცდილებას პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო.

ყველასთვის კარგად არის ცნობილი ტამბოვის ოლქის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წარმატებანი, რომელსაც ხელმძღვანელობს ევგენია ივანეს ასული ანდრეევა. ამჟამად ამ კოლმეურნეობის შესახებ ბევრი იწერება ჩვენს გაზეთებში და სავსებით დამსახურებულადაც. რატომ მიიღო ამ კოლმეურნეობამ მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი, ხოლო მის თავმჯდომარეს ამხანაგ ანდრეევას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება? კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა თავისი დიდი ვალდებულებანი, 1959 წლის 11 თვეში 100 ჰექტარ მიწაზე აწარმოვა 171 ცენტნერი ხორცი და 350 ცენტნერი რძე.

საქებია, რომ კომინტერნელებს საქართველოშიც გამოუჩნდათ მიმდევრები. სამგორის რაიონის სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც გამოცდილი ხელმძღვანელი აგრონომი ე. ი. დანელია მეთაურობს, დაიწყო შეჯიბრება კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობასთან. სოფელ ნორიოს კოლმეურნეობამ იკისრა დიდი ვალდებულებანი: მიიღოს 1960 წელს ყოველ 100 ჰექტარ მიწაზე 120 ცენტნერი ხორცი და 350 ცენტნერი რძე. ეს ერთიორად აღემატება გასული წლის მაჩვენებლებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ნორიოელთა შესანიშნავი თაოსნობა გამოიწვევს რესპუბლიკაში ისეთსავე ფართო პატრიოტულ მოძრაობას შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, როგორიც ერთ დროს გამოიწვია კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის ინიციატივამ, რომელმაც სტიმული მისცა საყოველთაო-სახალხო მოძრაობას იმისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

მთელი საბჭოთა ქვეყნის სოფლის მეურნეობასთან ერთად განუხრელად ვითარდება ჩვენი რესპუბლიკის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყველა დარგი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების, სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებმა, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესმა დახმარებამ შესაძლებლობა მოგვცა წინ წაგვეწია ჩვენი სოფლის მეურნეობა, ძირეულად გარდაგვექმნა იგი. უკანასკნელ 6 წელიწადში ჩვენში ფართოდ განვითარდა ისეთი წამყვანი დარგები, როგორიც არის მეჩაიეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა, მეთამბაქოობა, მეაბრეშუმეობა და სხვა დარგები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებაში იმ რესპუბლიკებთან ერთად, რომლებშიც კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს ყურძნის, ხილისა და ჩაის წარმოების გადიდებაში, მოხსენიებულია საქართველოც. საკმარისია ითქვას, რომ გასულ წელს სახელმწიფოს მიეყიდა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი 33.300 ტონით მეტი, ყურძენი — 62 ათასი ტონით, კურკოვანი, თესლოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფი — 46 ათასი ტონით, თამბაქოს ფოთოლი — 4.700 ტონით, აბრეშუმის პარკი — 345 ტონით, ბოსტნეული — 23 ათასი ტონით, მატყლი — 764 ტონით, რძე — 54 ათასი ტონით, ხორცი — 15 ათასი ტონით, კვერცხი — 41 მილიონი ცალით მეტი, ვიდრე 1953 წელს.

კარგად იშრომეს გასულ წელს რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობამ, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა. განსაკუთრებით გაგვახარეს მეჩაიეებმა, რომლებმაც მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 140.300 ტონა ჩაის ფოთოლი — 7.300 ტონით მეტი, ვიდრე წინა წელს, რომელიც ჩაის მოსავლის მიხედვით რეკორდულ წელიწადად ითვლებოდა. ვადამდე განაღდებულია სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის, ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულისა და დაფნის ფოთლის მიყიდვის ვალდებულებანი. ვადამდე შესრულებულია სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები. გასულ წელს დამზადებულია დაახლოებით 2 მილიონი ტონა სილოსი, აქედან დაახლოებით ერთნახევარი მილიონი ტონა სიმინდის სილოსი.

მაგრამ, განაგრძობს ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, საბჭოთა ადამიანებს არ სჩვევიათ სჯერდებოდნენ მიღწეულს. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვი გვაქვს. ეს რეზერვები განსაკუთრებით ნათლად ჩანს, როცა ცალკეულ მოწინავე მეურნეობათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ნოვატორთა მიღწევებს ვითვალისწინებთ.

ბევრია ისეთი მუშაკები, რომლებიც ვალდებულებას კისრულობენ, მაგრამ მათ არ განამტკიცებენ ორგანიზატორული მუშაობით, კონკრეტული საქმეებით. გასულ წელს რესპუბლიკის ყველა რაიონმა კარგი ვალდებულებები იკისრა, მაგრამ ყველგან როდი გააკეთეს ყველაფერი ამ ვალდებულებათა შესასრულებლად. მაგალითად, წულუკიძის რაიონს ჩაის ფოთლის კრეფის საგეგმო დავალებაც კი არ შეუსრულებია. და ეს მაშინ, როცა წყალტუბოს რაიონში, რომელიც უკეთეს პირობებში არ არის, შეძლეს დაერაზმათ ხალხი და პირნათლად გაენაღდებინათ დიდი სოციალისტური ვალდებულებანი.

ბევრი რაიონი მთლიანად ვერ იყენებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების არსებულ რეზერვებს. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა საგარეჯოს, ხაშურის რაიონებში, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. მაგალითად, საგარეჯოს რაიონში 1959 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შეასრულეს მხოლოდ 80 პროცენტით, რძისა — 98 პროცენტით. რაიონის კოლმეურნეობებში შარშან გაასუქეს 2.150 ღორი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.000 და ვალდებულებით ნაკისრი 8.000 ღორისა. რაიონში მცირეა ძროხების რაოდენობა ჯოგში. 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მოდის მხოლოდ 14 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 4 ძროხა.

უყურადღებოდ მიტოვებულია მეცხოველეობა ხაშურის რაიონშიც, სადაც ვერ

---

## საკდესის ცნობა

ბალისტიკური რაკეტების საშუალებით კოსმოსური სივრცის კვლევაში საბჭოთა კავშირის მიერ მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმების შესაბამისად, საბჭოთა მეცნიერები და კონსტრუქტორები ეწევიან მუშაობას უფრო მძლავრი რაკეტის შექმნისათვის დედამიწის მძიმე თანამგზავრების გასაშვებად და მზის სისტემის პლანეტებისაკენ კოსმოსური ფრენის განსახორციელებლად.

ფრენის მაღალი სიზუსტის ასეთი რაკეტის დამუშავების მიზნით, 1960 წლის უახლოესი თვეების განმავლობაში მოეწყობა ამ რაკეტის გაშვება უკანასკნელი საფეხურის უქონლად წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში, რომელიც დაშორებულია ინტენსიური ნაოსნობის გზებს, საჰაერო ტრასებსა და თევზის რეწვის ადგილებს.

რაკეტის უკანასკნელისწინა საფეხურის ჩამოვარდნა მოსალოდნელია რაიონში, რომელიც განსაზღვრულია კოორდინატებით:

| განედი | გრძედი |
|---|---|
| 9 გრადუსი და 06 მინუტი ჩრდ. | 170 გრადუსი და 47 მინუტი დას. |
| 10 გრადუსი და 22 მინუტი ჩრდ. | 168 გრადუსი და 22 მინუტი დას. |
| 6 გრადუსი და 16 მინუტი ჩრდ. | 166 გრადუსი და 16 მინუტი დას. |
| 5 გრადუსი და 03 მინუტი ჩრდ. | 168 გრადუსი და 40 მინუტი დას. |

საჭირო გაზომვების განსახორციელებლად აღნიშნულ რაიონში გაიგზავნება საბჭოთა ფლოტის სპეციალური გემები.

რაკეტების პირველი გაშვება მოხდება საორიენტაციოდ 1960 წლის 15 იანვრიდან 15 თებერვლამდე.

წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში რაკეტების გაშვების დროს ზღვაოსნობისა და თვითმფრინავთა ფრენის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა თხოვნით მიმართავს იმ ქვეყნების მთავრობებს, რომელთა გემები და თვითმფრინავები შეიძლება ამ პერიოდის განმავლობაში აღმოჩნდნენ რაკეტების უკანასკნელისწინა საფეხურების ჩამოვარდნის ნავარაუდევი რაიონის ახლოს, რათა შესაბამისმა ხელისუფლებმა მისცენ მითითება გემების კაპიტნებსა და თვითმფრინავების მეთაურებს არ შევიდნენ წყნარი ოკეანის აკვატორიისა და საჰაერო სივრცის რაიონში, რომელიც განსაზღვრულია ამ ცნობაში აღნიშნული კოორდინატებით.

# კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი

## საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი წელი დაამთავრა შესანიშნავი მიღწევებით სახალხო მეურნეობის განვითარებაში. საბჭოთა ადამიანებს გულწრფელად ახარებს სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატებანი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა შეაჯამა თვალსაჩინო გამარჯვებათა შედეგები, დასახა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის მოქმედების საბრძოლო პროგრამა.

განიხილეს რა დეკემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებები, თეთრი წყაროს რაიონის მშრომელებმა ბევრი ძვირფასი წინადადება შეიტანეს იმისათვის, რომ სავსებით გამოიყენონ არსებული რეზერვები და ფართოდ დანერგონ მოწინავე გამოცდილება. უახლოეს წლებში რაიონში უპირატესად განვითარდება მეცხოველეობა, რისთვისაც კარგი პირობებია. **რაიონის მეურნეობებმა გამოიანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მათ რეალური შესაძლებლობა მოეპოვებათ, რათა შვიდწლედის მანძილზე 14-ჯერ გაადიდონ ხორცის წარმოება და 9-ჯერ — რძისა.** სულ 1965 წლის დამლევისათვის წარმოებულ იქნება 75 ათასი ცენტნერი ხორცი და 310 ათასი ცენტნერი რძე.

ამხ. ბექაური ლაპარაკობს ღონისძიებებზე, რომლებსაც ახორციელებენ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, კოლმეურნეობები ნაკისრი დიდი ვალდებულების შესასრულებლად. დიდი ყურადღება ეთმობა მეცხოველეობის ფერმების განმტკიცებას გამოცდილი, თავიანთი საქმის მცოდნე და ამ საქმის მოყვარული კადრებით, მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, სახორცე პირუტყვის გასუქების ორგანიზაციას. განვლილ წელს მეცხოველეობაში სამუშაოდ გაიგზავნა 240 კომუნისტი და კომკავშირელი. უფრო კონკრეტული და ქმედითი გახდა სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეთა შორის. თვითეული თვის შედეგებს განიხილავენ მეცხოველეთა თათბირ-სემინარებზე. მოწინავე ფერმების, მეცხოველეების გამოცდილება, მათი მიღწევები ხორცის, რძის წარმოების გადიდებაში იმის რწმენას გვინერგავენ, რომ ნაკისრი დიდი ვალდებულებანი წარმატებით განხორციელდება.

ორატორი აღნიშნავს რაიონული ორგანიზაციების, კოლმეურნეობების მუშაობის მთელ რიგ ნაკლოვანებებს, რომელთა აღმოფხვრა ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვან ზრდას. გასულ წელს რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს მარტო საშუალო და უმაღლესი ნასუქობის პირუტყვი. მაგრამ პირუტყვი ხშირად იმიტომ იკლებს წონაში, რომ თბილისის სასაკლაოს გამტარუნარიანობა საკმარისი არ არის. საჭიროა, ამბობს შემდეგ ამხ. ბექაური, გადაისინჯოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არსებული ფართობები, რადგან ზოგიერთი ნაკვეთი გამოუსადეგარია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

კრება გულთბილად ხვდება მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუს კოლმეურნეობის მეჩაიეს **ს. გობრონიძეს.** ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა, თქვა მან, შემოქმედებითი ინიციატივის ახალი აღმავლობა გამოიწვია ჩვენში. სიხარულითა და სიამაყით გვევსება გული, როცა ვეცნობით პლენუმის მასალებს, ვიგებთ, თუ რა თვალსაჩინო შრომითი გამარჯვებანი მოუპოვებია ჩვენს კოლმეურნე გლეხობას, რა წვლილი შეაქვს მას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში. მხურვალედ ვიწონებთ რა პლენუმის გადაწყვეტილებებს, ჩვენ ერთსულოვნად ვაცხადებთ, რომ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი წარმატებით განვახორციელოთ პარტიის წინასწარდასახულობანი.

მახარაძის რაიონის მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად დიდი ინტერესით ეცნობიან პლენუმის გადაწყვეტილებებს, გამოთქვამენ აზრებს რაიონის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივების შესახებ. ამჟამად რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პლანტაციებსა და ბაღებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. საფუძველი ეყრება შვიდწლედის მეორე წლის უხვ მოსავალს.

ორი წლის წინათ დავამთავრე საშუალო სკოლა და სამუშაოდ წავედი მშობლიური სოფლის კოლმეურნეობაში. აქ ვეცნობოდი ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილებას. ბევრი რამ შემძინა მარგალიტა მახარაძემ, რომელმაც 9.650 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა 0,5 ჰექტარზე. მე გადავწყვიტე მისი მაგალითისათვის მიმებაძნა და ნორჩ მეჩაიეთა რიგებში ჩავმდგარიყავი.

**1958 წელს 0,5 ჰექტარზე მივიღე 5.148 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.000 კილოგრამისა, ხოლო 1959 წელს ამ ფართობზე მოვკრიფე 7.491 კილოგრამი. ახლა ვკისრულობ ახალ ვალდებულებას — ჩემთვის მიჩენილ ნაკვეთზე მივიღო სულ ცოტა 8 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი.**

ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობა წლითიწლობით აძლიერებს ზრდის ტემპებს და სულ უფრო მეტ და მეტ წარმატებებს აღწევს. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვხედავთ, თუ რა დიდ ზრუნვას იჩენს მშობლიური კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, იმისათვის, რომ საბჭოთა ადამიანებს ჰქონდეთ შეძლებული და კულტურული ცხოვრება.

გვინდა კიდევ უფრო მტკიცედ ვიბრძოლოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის, ჩვენი ლენინური პარტიის ყველა დავალების განხორციელებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მაღალი ტრიბუნიდან ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეთა სახელით ნაკისრია საპატიო ვალდებულება — ხუთ წელიწადში შევასრულოთ ჩაის ფოთლის კრეფის შვიდი წლის დავალება. ეს ვალდებულება ბევრ რამეს გვავალებს ჩვენ, ჩაის პლანტაციების მუშაკებს. მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პლანტაციების მშრომელთა სახელით და პირადად ჩემი სახელით პირობას ვდებ, რომ თვითეული ჩვენგანი ძალებისა და ენერგიის დაუშურებლად იშრომებს, რათა თავისი წვლილი შეიტანოს ამ დიდი ამოცანის შესრულებაში.

— გასულ წელს, — ამბობს სამხრეთ ოსეთის [illegible] სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიღებულია 27,2 ცენტნერი ხორცი და 121 ცენტნერი რძე. წინა წელთან შედარებით მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდა შეადგენს ხორცისა 38 პროცენტს, რძისა 10 პროცენტს.

უკანასკნელ წლებში ოლქის კოლმეურნეობები განმტკიცდნენ ორგანიზაციულად და ეკონომიურად. ამაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და არტელის საქმეების მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ“. ამ დადგენილების შესრულების მსვლელობაში კოლმეურნეობებში გამოვლინდა წესდების დარღვევები — მეტისმეტად დიდი საკარმიდამო ნაკვეთები, პირად საკუთრებაში წესდებით დადგენილ რაოდენობაზე მეტი პირუტყვის ყოლა. კოლმეურნეობებში წესრიგის დამყარებამ გააქტიურა კოლმეურნეები, გააძლიერა მათი მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში.

მაგრამ სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის განვითარებაში არის სერიოზული ნაკლოვანებები. ბევრი კოლმეურნეობა სუსტად იყენებს ან სრულიად არ იყენებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის რეზერვებს. ოლქის მეტ წილ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ მცირეა მარცვლეულის, კარტოფილის მოსავლიანობა, სუსტად ვითარდება პროდუქტიული მეცხოველეობა. ჯეროვან სიმაღლეზე არ არის შრომის დისციპლინა მთელ რიგ არტელებში, განსაკუთრებით მთიან რაიონებში. საკოლმეურნეო წარმოებაში საკმარისად არ ინერგება შრომის პროგრესული მეთოდები, მოწინავე გამოცდილება, სუსტად იზრდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ საოლქო პარტიული ორგანიზაცია საკმაოდ არ მუშაობს კადრებთან, ჯეროვან სიმაღლეზე არ არის ორგანიზატორული მუშაობა.

ამხ. სანაკოევმა აღუთქვა აქტივს, რომ სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს, რათა აღმოფხვრას სოფლის მეურნეობის განვითარებაში არსებული ნაკლოვანებანი და უკვე შვიდწლედის მეორე წელს მიაღწიოს მნიშვნელოვან წარმატებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შესანიშნავი თავისებურება ის იყო, ამბობს სამგორის რაიონის სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **ე. დანელია,** რომ მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მოწინავე მშრომელებმა. ამით მკაფიოდ გამოვლინდა ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის განუყრელი კავშირი ხალხთან. მთელმა ჩვენმა ქვეყანამ დიდი კმაყოფილებით შეიტყო პლენუმის ბევრი მონაწილის — უხვი მოსავლისა და დიდი წველადობის ოსტატების შრომითი გმირობის შესახებ. ჩვენი კოლმეურნეობის მწველავი ს. დელიბაშვილი, რომელიც მონაწილეობას იღებდა პლენუმის მუშაობაში, დაჯილდოებულია უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით.

ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში, ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის ახლა ცნობილია დიდი მიღწევები ტამბოვის ოლქის მიჩურინსკის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობისა, რომელსაც ხელმძღვანელობს საუცხოო ორგანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი ე. ანდრეევა. გასულ წელს კომინტერნელებმა ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღეს 171 ცენტნერი ხორცი და 350 ცენტნერი რძე.

დეკემბრის პლენუმის წინა დღეებში ჩვენი არტელის კოლმეურნეებმა მიიღეს გადაწყვეტილება ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობასთან. **ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულება 1960 წელს ყოველ 100 ჰექტარ მიწაზე ვაწარმოოთ 120 ცენტნერი ხორცი და 350 ცენტნერი რძე — ორჯერ მეტი, ვიდრე 1959 წელს. ვალდებულებას ვკისრულობთ შვიდწლედის დამლევისათვის ვაწარმოოთ უკვე 200 ცენტნერი ხორცი და 750 ცენტნერი რძე, მნიშვნელოვნად შევამციროთ მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულება.**

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს ძალიან სერიოზული და ძნელი ვალდებულებაა, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ იგი რეალურია. ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს იმისათვის, რომ მკვეთრად გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. ამასთან ვეცდებით, რომ გამარჯვებული გამოვიდეთ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენ რუს მეგობრებთან. ჩვენი კოლმეურნეები გულწრფელად გაახარა ცნობამ, რომ კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა სიხარულით მიიღეს ჩვენი გამოწვევა და გამოთქვეს მხურვალე სურვილი დაგვეხმარონ, ძმურად გაგვიზიარონ გამოცდილება.

გუშინ ჩვენ მივიღეთ ამხ. ანდრეევას დეპეშა, რომელშიც იგი გვატყობინებს, რომ კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის ლენინის ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით არტელის წევრებმა გადასინჯეს წინათ ნაკისრი ვალდებულებანი და იკისრეს ახალი, უფრო დიდი ვალდებულებანი. სულითა და გულით ვუსურვებთ კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობას წარმატებებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში, პირობას ვდებთ, რომ არც ჩვენ ჩამოვრჩებით.

ჩვენი კოლმეურნეობის წევრებმა მთხოვეს გადმოგცეთ თქვენ, პარტიული აქტივის კრების მონაწილეებს, რომ ისინი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წარმატებით შეასრულონ პარტიისა და მთავრობის დავალებანი, მისცენ სამშობლოს მეცხოველეობის ბევრი და იაფი პროდუქტები.

კარგი წარმატებებით დაამთავრეს შვიდწლედის პირველი წელი ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებმა. გადაჭარბებით შესრულდა ყველა სახეობის მეცხოველეობის სულადობის ზრდის დავალებანი, გაიზარდა პირუტყვის პროდუქტიულობა. ყოველ ძროხაზე მიღებულია 1.676 კილოგრამი რძე — 239 კილოგრამით მეტი, ვიდრე 1958 წელს. საერთო წველადობა სამჯერ გაიზარდა 1953 წელთან შედარებით. არიან კოლმეურნეობები, რომლებმაც წლის განმავლობაში მიაღწიეს მეწველი პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდას, რომელიც [...]

[...]წიფოსათვის ხორცის მიყიდვის დავალება. ხორცის წარმოების ზრდაზე გავლენა მოახდინა საკოლმეურნეობათაშორისო საძოვარზე გასასუქებელი ნახირის შექმნამ. თუ 1958 წელს ჩაბარებული იყო საშუალო სიმსუქნის პირუტყვის მხოლოდ 7 პროცენტი, 1959 წელს ჩაბარებულ იქნა 72 პროცენტი.

მოიყვანა რა ეს ფაქტები, პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **ს. მატოიანმა** ამასთან ერთად აღნიშნა, რომ რაიონის კოლმეურნეობებში არის დიდი გამოუყენებელი რეზერვები. მოწინავე კოლმეურნეობებთან ერთად რაიონში არიან ჩამორჩენილებიც. ჩვენი მიზანია წამოვწიოთ ისინი მოწინავეთა დონემდე. ამისათვის დიდი მუშაობა ხორციელდება. ხდება კოლმეურნეობათა განმტკიცება სოფლის მეურნეობის სპეციალისტებით. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად რეკომენდებული არიან ავტორიტეტიანი პარტიული და სამეურნეო მუშაკები, რომლებიც კარგად იცნობენ სოფლის მეურნეობას.

რაიონის კოლმეურნეობები ახორციელებენ ღონისძიებათა კომპლექსს პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისა და მისი სულადობის ზრდისათვის. სერიოზული ყურადღება ექცევა საკვები ბაზის შემდგომ განმტკიცებას, დიდდება სიმინდის, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების ნათესები, უმჯობესდება საძოვრები. მიმდინარე წელს იქმნება ახალი ნახირი პირუტყვის, მათ შორის ღორების გასასუქებლად.

ბოლნისის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **ა. ხიდაშელმა** კონკრეტული მაგალითებით ცხადყო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სიმინდს მეცხოველეობის განვითარებისათვის. გასულ წელს სიმინდს რაიონში ეკავა 5.150 ჰექტარი, რაც შეადგენს კოლმეურნეობათა მთელი სახნავი მიწების დაახლოებით 30 პროცენტს. საშუალოდ ყოველ ჰექტარზე მიღებულია 25 ცენტნერი მარცვალი, ჩადებულია 46 ათასი ტონა სილოსი, 16 ტონა ყოველ ძროხაზე. მტკიცე საკვებმა ბაზამ საშუალება მოგვცა ვადაზე ორი თვით ადრე შეგვესრულებინა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმა.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მარცვლეულის წარმოება სიმინდის ნათესების გაფართოების გზით გაიზარდა 4-ჯერ და მეტად 1953 წელთან შედარებით, სილოსისა — 6-ჯერ, უხეში საკვებისა — 5-ჯერ. გასულ წელს კოლმეურნეობას ჰქონდა 850 ჰექტარი სიმინდი, აქედან 135 ჰექტარი გამოყენებულია იმ ძროხების მწვანე საკვებად, რომლებიც ბაგურ-ბანაკურ რეჟიმზე არიან, 200 ჰექტარის მოსავალი სილოსად ჩაიდო. დამზადებულია 1.800 ტონაზე მეტი სიმინდის მარცვალი.

შვიდწლედის პირველმა წელმა ჩვენს კოლმეურნეობაში ჩაიარა პარტიის იმ მოწოდების განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით, რომ დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. კოლმეურნეობა ეჯიბრება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო მეურნეობას — კურსკის ოლქის სოფელ კალინოვკის კოლმეურნეობას. შეჯიბრებაში მიღწეულია წარმატება. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებამ ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე შეადგინა ხორცისა — 38 ცენტნერი, რძისა — 171 ცენტნერი. დიდი გადამეტებით შევასრულეთ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

საზოგადოებრივი მეურნეობა კვლავ წარმატებით ვითარდება, იზრდება ცხვრის სულადობა, რაც გაადიდებს ხორცის გამოსავალს. მიმდინარეობს მუშაობა მეცხოველეობის ყველა პროდუქტის თვითღირებულების შესამცირებლად.

ამხ. ხიდაშელი აყენებს სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშაობის გაუმჯობესების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, კერძოდ, ბაღებისა და ვენახების დასამუშავებელი გუთნებით კოლმეურნეობათა მომარაგების გაუმჯობესების საკითხს.

მე, ამბობს გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **მ. იაშვილი,** წილად მხვდა ბედნიერება მონაწილეობა მიმეღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მუშაობაში. იგი დიდი სკოლა იყო როგორც ჩემთვის, ისე კოლმეურნე გლეხობის სხვა წარმომადგენლებისათვის, რომლებიც პლენუმზე იყვნენ მიწვეულნი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მკაფიო, ღრმა შინაარსიანმა სიტყვამ.

სოფლის მეურნეობის მშრომელთა თავდადებული ბრძოლის შედეგები გვიჩვენებენ, თუ რამდენად სწორი იყო ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, რომლებმაც განახორციელეს ჩვენი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის დაძლევის, საბჭოთა ადამიანებისათვის პროდუქტების სიუხვის შექმნის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი. ამ პოლიტიკის სისწორეს გრძნობს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების ყოველი მუშაკი, ყოველი საბჭოთა ადამიანი.

ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს, ისინი განმტკიცდნენ ორგანიზაციულად, გახდნენ დიდად განვითარებული მეურნეობანი. 1953 წლამდე ჩვენი არტელის შემოსავალი არ აღემატებოდა ორ მილიონ მანეთს, ხოლო გასულ წელს მან გადააჭარბა 9 მილიონ მანეთს. შეძლებული გახდა კოლმეურნეთა ცხოვრება. ჩვენი სოფელი დამშვენდა ლამაზი სახლებით. სოფელში დამთავრდა სრული ელექტროფიკაცია, რადიოფიკაცია, დადგმულია ტელეფონის სადგური. უკვე მეორე წელია კოლმეურნეობა უფასოდ უწევს მომსახურებას თავის წევრებს ტრანსპორტით, ელექტროენერგიით, წისქვილით, აბანოთი, საპარიკმახეროთი, ხე-ტყის სახერხი ქარხნით.

როცა წარმატებებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ ნაკლოვანებებიც. პლენუმზე აღინიშნა, რომ საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნელა ვითარდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ეს კრიტიკა სავსებით სამართლიანია. ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყოველმა მუშაკმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა დავძლიოთ ჩამორჩენა მეცხოველეობაში.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, — ამბობს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. **დ. გოგოხია,** — გვაიარაღებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის ბრძოლის პროგრამით. გასულ წელს აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩააბარეს 22.711 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — ათასი ტონით მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა და 5.577 ტონით მეტი, ვიდრე 1953 წელს. მაგრამ ჩვენმა მეჩაიეებმა იციან, რომ მათ შეუძლიათ მისცენ ქვეყანას გაცილებით მეტი ჩაის ფოთოლი, რომ მათ მოეპოვებათ პლანტაციების მოსავლიანობის შემდგომი გადიდების რეზერვები. ამას მოწმობს საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე, რომელმაც შეადგინა 2.743 კილოგრამი, რაც მოწინავე რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიღწევებზე ბევრად ნაკლებია. მაგალითად, თუ სოფლების ცარჩის, ოქუმის, საბერიოს კოლმეურნეობებმა და სხვებმა ჰექტარზე საშუალოდ 4.500-5.500 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი მიიღეს, მათმა მეზობელმა არტელებმა, რომლებიც ისეთსავე პირობებში იმყოფებიან, მხოლოდ 2.000-3.000 კილოგრამი მიიღეს ჰექტარზე. არიან ისეთი მეურნეობებიც, რომლებიც ჰექტარზე მხოლოდ ათას კილოგრამ ფოთოლს კრეფენ.

მცირემოსავლიანობის მიზეზია ბევრი პლანტაციის მოუვლელობა. შემოწმებამ ცხადყო, რომ მათ მეოთხედ ნაწილს საერთოდ ბალახი მოსდებია. ახლა ხორციელდება ღონისძიებანი ჩაის პლანტაციების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათი სიმეჩხერის აღმოსაფხვრელად. ამ ღონისძიებათა შესრულება საშუალებას მოგვცემს ჩაის ფოთლის კრეფის შვიდწლიანი გეგმა გავანაღდოთ ვადაზე ორი წლით ადრე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე სავსებით სამართლიანად ითქვა, რომ შესაძლებელია შემცირდეს სოფლის მეურნეობის ზოგიერთი პროდუქტის შესასყიდი ფასები. ამას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. შრომის ნაყოფიერების გადიდებას, პროდუქტების საერთო გამოსავლიანობის გადიდებას დიდად შეუწყობს ხელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა, კერძოდ ისეთ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, როგორიც არის ჩაის, ციტრუსების დამუშავება. უნდა დაჩქარდეს ეკონომიური, კარგი და იაფი სასოფლო-სამეურნეო მანქანების შექმნა ჩაის, ციტრუსებისა და სხვა კულტურების დასამუშავებლად.

ტრიბუნაზეა გორის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **ა. მღებრიშვილი.** ამ უკანასკნელ წლებში ჩვენმა კოლმეურნეობამ, თქვა მან, გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ეს აღარ არის ის მეურნეობა, რაც 1953 წელს იყო. ჩვენი კოლმეურნეები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. მათ დასახეს ღონისძიებანი, რომელთა შესრულება კიდევ უფრო გაადიდებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოსავლიანობას, ხელს შეუწყობს არტელის შემდგომ განმტკიცებას.

მაგრამ ჩვენ კიდევ მოგვეპოვება ბევრი გამოუყენებელი რეზერვი. თავის სიტყვაში დეკემბრის პლენუმზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ ერთსა და იმავე პირობებში მყოფ მეურნეობებს სხვადასხვა მაჩვენებლები აქვთ — ზოგს კარგი, ზოგს ცუდი. ეს საყვედური ჩვენც გვეკუთვნის. მაგალითად, თუ კომუნისტ გ. გალუსტაშვილის ბრიგადამ შარშან თვითეულ ჰექტარზე მიიღო 1.057 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, იმავე პირობებში მყოფმა ნ. მირუაშვილის ბრიგადამ მხოლოდ 476 ცენტნერი მიიღო. საჭიროა ყველამ მიაღწიოს მოწინავეთა დონეს, მაშინ იქნება საერთო წარმატება. **ჩვენმა კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა წელს თვითეულ ჰექტარზე მიიღოს სულ ცოტა ათასი ცენტნერი შაქრის ჭარხალი. შაქრის ჭარხლის დარგში შვიდწლიან დავალებას ჩვენ 1962 წელს შევასრულებთ.**

ჩვენში წარმატებით ვითარდება სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც. ცუდი მაჩვენებლები როდი გვაქვს მევენახეობასა და მებაღეობაში. გადაწყდა, ვადამდე შევასრულოთ ახალი ვენახებისა და ხეხილის ბაღების გაშენების დავალებანი. თვითკრიტიკის წესით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ჯერ კიდევ კარგად ვერ ვისწავლეთ სიმინდის მოყვანა. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვიყენებთ სიმინდის ნათესების კომპლექსურ დამუშავებას ცნობილი უკრაინელი მექანიზატორის ა. გიტალოვის მეთოდით.

ამ უკანასკნელ წლებში გაძლიერებით ვითარდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ყოველ 100 ჰექტარ მიწაზე შარშან მივიღეთ 42 ცენტნერი ხორცი, 140 ცენტნერი რძე.

გავითვალისწინეთ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი არსებითი ცვლილებები შევიტანეთ კოლმეურნეობის შვიდწლიან გეგმაში. იქ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდას. 1965 წლისათვის ჩვენ 400 ძროხა გვეყოლება.

ყველა ჩვენგანისათვის კარგად არის ცნობილი რიაზანის ოლქის მშრომელთა შრომითი გმირობა, რომლებმაც შეძლეს წელიწადში ერთისამად გაედიდებინათ ხორცის წარმოება. **ჩვენი არტელის კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს მიბაძონ რიაზანელ მეცხოველეთა მაგალითს და შვიდწლედის მეორე წელიწადში 3,5-ჯერ გაადიდონ ხორცის წარმოება.** მიმდინარე წელს სახელმწიფოს მივყიდით 1.400 ცენტნერი ხორცს.

დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, განაგრძობს ამხ. მღებრიშვილი, დიდი ყურადღება ეთმობა შრომის ნაყოფიერების ზრდის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხებს. ამ საკითხების წარმატებით გადაჭრის ერთ-ერთი გზაა შრომადღეების დანახარჯის შემცირება ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შენახვაზე.

სამგორის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა შეასრულეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოსავლიანობის გასადიდებლად, საქართველოს დედაქალაქისა და ქალაქ რუსთავის მოსახლეობის ბოსტნეულით, ხილით, ხორცით, რძით მომარა-[...]ძენმა. მან მოიყვანა მკაფიო ფაქტები და ციფრები, რომლებიც მოწმობენ რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთა თავდადებულ მუშაობას. პროდუქციის წარმოება 1953 წელთან შედარებით გაიზარდა: ბოსტნეულისა — 74.236 ცენტნერით, ხილისა — 3.764 ცენტნერით. ამავე პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა სახელმწიფოსათვის გაიზარდა: ხორცისა — 9.553 ცენტნერით, რძისა — 42.770 ცენტნერით, კვერცხისა — 5.342 ათასი ცალით.

დიდი, პასუხსაგები ამოცანებია დასახული რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე შვიდწლედის მეორე წელს. მათი წარმატებით შესრულება დამოკიდებულია პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის დონეზე, იმაზე, თუ რამდენად შევძლებთ მასების დარაზმვას დიდი ამოცანების შესასრულებლად. ახლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს ვაცნობთ ყველა კომუნისტსა და უპარტიოს. კოლმეურნეობათა წევრების, პარტიული ორგანიზაციების კრებებზე პლენუმის დადგენილებათა განხილვის დროს შეაქვთ ბევრი კონკრეტული წინადადება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის რეზერვების უკეთ გამოყენების შესახებ. **გამოიანგარიშა რა თავისი შესაძლებლობანი, სამგორის რაიონი ვალდებულებას კისრულობს 1960 წელს აწარმოოს 6 ათასი ტონა ხორცი გეგმით გათვალისწინებული 1787 ტონის ნაცვლად. ამით შესრულდება სამ წლიურ გეგმაზე მეტი.**

რა გზით შესრულდება ეს დიდი ამოცანა? დასახულია მკვეთრად გადიდდეს ღორების გასუქება და ღორის ხორცის ხვედრითი წონა ხორცის წარმოებაში აყვანილ იქნას სულ ცოტა 32 პროცენტამდე. ძირეულად გაუმჯობესდება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასუქება. ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ სახორცედ ჩაბარებული პირუტყვი, როგორც წესი, იყოს არანაკლებ საშუალო სიმსუქნისა. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა მივყიდოთ სახელმწიფოს 50 ათასი ბატკანი თვითეული 35 კილოგრამი ცოცხალი წონისა. ხორციელდება მეფრინველეობის დაჩქარებული განვითარების ღონისძიებანი.

ჯანდარისა და სამგორის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა, აგრეთვე ლოჭინის მეფრინველეობის ფაბრიკამ იკისრეს ვალდებულება ჩააბარონ სახელმწიფოს 1.000 ტონა ფრინველის ხორცი.

ამხ. ბერძენმა განაცხადა, რომ სამგორის რაიონის პარტიული ორგანიზაცია, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, მისცემენ სამშობლოს სოფლის მეურნეობის მეტ პროდუქტებს.

დეკემბრის პლენუმზე, ამბობს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი **მ. საბაშვილი,** დიდი ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობის მეცნიერების როლს მიწათმოქმედების კულტურის განვითარებაში, საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობაში. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ვერ მივაღწევთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დასახულ ზრდას, თუ ფართოდ არ გამოვიყენეთ აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევები და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ნოვატორთა გამოცდილება.

პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ბევრ სამეცნიერო დაწესებულებაში სუსტად წარმოებს სოფლის მეურნეობის განვითარების მომწიფებული თეორიული პრობლემების დამუშავება, რომ ისინი მოწყვეტილი არიან პრაქტიკას. ეს და სხვა ნაკლოვანებები დამახასიათებელია აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებისათვის. მართალია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში შემუშავებულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი თეორიული პრობლემები, მაგრამ ისინი სუსტად ინერგება წარმოებაში. სამეცნიერო დაწესებულებებმა ვალდებულება იკისრეს პრაქტიკული დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სწორი თესლბრუნვების ორგანიზაციაში, მინერალური სასუქების გამოყენებაში, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციაში. მაგრამ ეს ვალდებულებანი ნელი ტემპებით სრულდება.

ჩვენი მეცნიერების წინაშე დასახულია ძალიან დიდმნიშვნელოვანი, აქტუალური ამოცანები. ისინი უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდებაში, გააუმჯობესონ ჩაის საკრეფი მანქანები და სხვა ტექნიკა, შეიმუშაონ ეფექტიანი ღონისძიებანი მრავალწლიანი ნარგავების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად, გამონახონ შესაფერისი მიწები მევენახეობის განვითარებისათვის, გააუმჯობესონ პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა და სხვ. ამ საკითხთა გადასაჭრელად ნაყოფიერად იშრომებენ ჩვენი მეცნიერები.

სოფლის მეურნეობის სხვა მოწინავეებთან ერთად, თქვა ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთის კოლმეურნეობის ბრიგადირმა **გ. სირაძემ,** მონაწილეობა მივიღე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მუშაობაში. პლენუმიდან დაბრუნების შემდეგ ვიფიქრე, რა უნდა გავაკეთო, რომ დავეხმარო კოლმეურნეობას მიიღოს უფრო უხვი მოსავალი, შემდგომ განავითაროს მეცხოველეობა. მოვეთათბირე ჩვენი არტელის კოლმეურნეებს, გადავსინჯეთ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა და შევიტანეთ მასში შესწორებები. ჩვენ გადავწყვიტეთ ავითვისოთ ვენახებისათვის ახალი მიწები, გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტების, განსაკუთრებით ხორცის წარმოება.

ყოველი კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მასში არტელის ყველა წევრის აქტიური მონაწილეობა. წინათ კოლმეურნეებს პირად საკუთრებაში ჰქონდათ დიდი საკარმიდამო ნაკვეთები და ჰყავდათ ბევრი შინაური ცხოველი, რაც აიძულებდა მათ მოწყვეტილიყვნენ საზოგადოებრივ შრომას. ახლა ჩვენ გადავსინჯეთ საკარმიდამო ნაკვეთების ნორმები და შევამცირეთ ისინი. ამან გააძლიერა კოლმეურნეთა შრომითი აქტივობა, მათი დაინტერესება საზოგადოებრივი დოვლათის გადიდებით.

ჩვენს მევენახეებს აღელვებს ზოგიერთი გადაუჭრელი საკითხი. კოლმეურნეობა ცოტას იღებს ვენახებისათვის საჭირო მინერალურ სასუქებს. საკმაოდ არ გვამარაგებენ მანქანებით და მისაბმელი ინვენტარით ვენახების დასამუშავებლად. ვენახების მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი საშუალებაა ვაზის გადაყვანა შპალერზე. მაგრამ არ გვყოფნის მავთული. მეგეგმავე ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ მევენახეთა ეს საჭიროებანი.

სიტყვას ამბობს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა. თხილაიშვილი.** აჭარის მშრომელები, თქვა მან, წარმატებით ახორციელებენ პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. მრეწველობის მუშაკებთან ერთად დიდი წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. გასულ წელს მათ მნიშვნელოვნად გაადიდეს ჩაის, ციტრუსების, ხილის, თამბაქოს, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. მოკრეფილია 23.650 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ორატორს მოჰყავს ბევრი მეჩაიის სახელი, რომლებსაც ეკუთვნით ჩაის სარეკორდო მოსავალი. ესენი არიან მ. ჯინჭარაძე, პ. ყურშუბაძე და მრავალი სხვა. კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა“ საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფა 6.329 კილოგრამი ფოთოლი, ხოლო სოფელ სარფის კოლმეურნეობამ — 6.096 კილოგრამი. ეს მაჩვენებლები მოწმობენ, რომ ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის ზრდაში შეიძლება უფრო მეტი წარმატებების მოპოვება. აჭარის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გამოიყენონ ყველა რეზერვი, ფართოდ დანერგონ წარმოებაში მოწინავეთა გამოცდილება, უკვე 1963 წელს შეასრულონ ჩაის შვიდწლიანი დავალება. წელს გეგმის გადამეტებით ჩაბარებული იქნება 1.000 ტონა ჩაის ფოთოლი.

შემდეგ ამხ. თხილაიშვილი შეეხო მეციტრუსეობის, მეთამბაქოეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარების საკითხებს. კოლმეურნეობები იღებენ ღონისძიებებს, რათა გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. კარგი შედეგები გამოიღო გასულ წელს ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში პირველად მოწყობილმა მეღორეობისა და მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმებმა.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ამხ. **მ. კუჩავას.**

— ჩვენს წინაშე, — ამბობს იგი, — დასახულია უმნიშვნელოვანესი ამოცანა: დავრაზმოთ მთელი ძალები, რათა წარმატებით გადავჭრათ სოფლის მეურნეობის განვითარების საბრძოლო პროგრამა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა დასახა. ყველა რაიონში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში უნდა შევიმუშაოთ ღონისძიებანი, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე განაღდებას. მთავარია გამოვავლინოთ წარმოების რეზერვები, პროპაგანდა გავუწიოთ და ფართოდ გავავრცელოთ მინდვრების, პლანტაციების, ბაღების, მეცხოველეობის ფერმების ნოვატორთა გამოცდილება, სოფლის მეურნეობის მეცნიერების მიღწევები.

შვიდწლედის პირველ წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მიღწეულია დიდი წარმატებანი. არის გარკვეული ძვრები მეცხოველეობის განვითარებაშიც. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებანი. მაგრამ სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში არის სერიოზული ნაკლოვანებები. მათგან მთავარია საზოგადოებრივი პირუტყვის მცირე ხვედრითი წონა ჯოგის საერთო რიცხვში.

რესპუბლიკის მეცხოველეები სახავენ აიღონ უფრო დიდი ზღუდეები შვიდწლედის მეორე წელს. ეს რეალური ამოცანაა და იგი შეიძლება შესრულდეს, ყოველი პარტიული და საბჭოთა ორგანოს მოვალეობაა დარაზმოს მთელი ძალები მათი წარმატებით გადაჭრისათვის. საჭიროა ფართოდ დაინერგოს პირუტყვის მოვლა-შენახვის მოწინავე მეთოდები, წამოვწიოთ ჩამორჩენილი მეურნეობანი მოწინავეთა დონემდე. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, უნდა გადიდდეს ნაწვერალი სიმინდის, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების ნათესები, გაუმჯობესდეს პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა, უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული სადედე პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება, რძის წარმოების გადიდების დიდმნიშვნელოვანი რეზერვია მეკამეჩეობა.

ამხ. კუჩავამ აქტივის ყურადღება გაამახვილა კოლმეურნეობათა განუყოფელი და საბრუნავი სახსრების შემდგომი გადიდების, სოფლის მეურნეობის ზოგიერთი პროდუქტის შესასყიდი ფასების შემცირების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უკეთ გამოყენების, დამხმარე მეურნეობათა მუშაობის და სხვა საკითხებზე.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, თქვა მან, მოვალენი არიან სწორად გადაჭრან სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომწიფებული საკითხები.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მუშაობაში, — თქვა დასასრულ ამხ. მ. კუჩავამ, — მონაწილეობას იღებდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა, მექანიზატორთა, სოფლის მეურნეობის ნოვატორთა, მეცნიერთა დიდი ჯგუფი. პარტიამ და მთავრობამ მათი შრომა მაღალი ჯილდოებით დააფასეს. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გაზარდონ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა და ნოვატორთა, შვიდწლედის დავალებების ვადამდე შესრულებისათვის აქტიურ მებრძოლთა რიგები.

ჩემი რგოლი, თქვა ვ. სამინავამ ცხაკაიას რაიონის სოფელ თეკლათის კოლმეურნეობიდან, პირობას იძლევა რგოლისათვის მიჩენილი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღოს 100 ცენტნერი სიმინდის მარცვალი. ეს ჩვენი ვალდებულებაა დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

მიღებულ რეზოლუციაში აქტივის კრება სავსებით და ერთსულოვნად იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება.

აქტივის კრებამ ცხადყო საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მხურვალე მისწრაფება და მტკიცე გადაწყვეტილება წარმატებით განახორციელოს კომუნისტური პარტიის წინასწარდასახულობანი.

(საქტაგი).

---

### იაროსლავ ჩიჟის მაგალითით

## ყოჩაღ, გიორგი ფილიევო!

### ცენტნერი ღორის ხორცი — 150 მანეთი

კოლმეურნეობის გამგეობის სხდომიდან გიორგი ფილიევი ჩაფიქრებული გამოვიდა. კაცმა რომ თქვას, ადვილი საქმე როდი ჩააბარეს. უარს როგორ იტყოდა მეღორეობის ფერმაში მთავარი მომვლელის საპატიო მოვალეობაზე. მაგრამ ფიქრები მაინც არ ასვენებდა. დღემდე ფერმაში ბევრი მუშაკი ყოფილა, მაგრამ წარმატება არც ერთს არა ჰქონია...

ეს იყო ამ ორი წლის წინათ. სოფელ დმანისის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაში სანახევროდაც ვერ ასრულებდნენ ღორის ხორცის მიღების დავალებას.

— აი ახლა ფერმაში მივდივარ, — ფიქრობდა იგი, — მისვლა ადვილია, მაგრამ რით დავიწყო? წინანდელ მომვლელებზე გულნატკენი ფერმის გამგე მეც ხომ უნდობლად შემომხედავს.

გიორგი მოეთათბირა დამხმარე მომვლელებს შალვა ფილიევს და იასონ გიკაევს, გაახსენა მათ, რომ კოლმეურნეობის ტერიტორიაზე ხრამის ხეობაში მდებარე ტყეებში მრავლად არის პანტა, მაჟალო, რკო, წიფელა და სხვა ველური ხილი. ეს ხომ საუკეთესო საშუალებაა ღორის გასასუქებლად. მალე ეს საკითხი კოლმეურნეობის გამგეობის მსჯელობის საგანი გახდა.

შარშან ოქტომბერში მეღორეობის ფერმის მთავარ მომვლელს გიორგი ფილიევს დამხმარე მომვლელ შ. ფილიევთან და ი. გიკაევთან ერთად გასასუქებლად ჩააბარეს 150 ღორი. ეს ღორები მათ ტყეში ჩარეკეს. იქ ღორებს საკვებად უხვად ჰქონდათ პანტა, მაჟალო, რკო, წიფელი. მომვლელებმა ტყეში აიგეს ღამის გასათევი ბინა. ყურადღებას აქცევდნენ, რომ ნადირს არ შეეჭამა პირუტყვი. თანაც ტყეში ხელით აგროვებდნენ საკვებს და დამატებით აძლევდნენ ღორებს. იქ ღორები ორთვენახევარს ჰყავდათ. შემდეგ წამოიყვანეს ფერმაში და 15 დღე დააყენეს გაძლიერებულ კვებაზე. გავიდა სამი თვე. ყველას აინტერესებდა მუშაობის შედეგი. დაიწყეს ღორების აწონა. აღმოჩნდა, რომ სამ თვეში 150 ღორს მოემატა 8.000 კილოგრამი, თვითეული ცენტნერი ღორის ხორცის წარმოება დაჯდა მხოლოდ 150 მანეთი!

ეს ამბავი თეთრი წყაროს რაიონში სწრაფად გავრცელდა. ყველას უკვირდა როგორ მოხდა, რომ ცენტნერი ღორის ხორცის მიღება მხოლოდ 150 მანეთი დაჯდა, მაშინ როდესაც მანამდე 500-600 მანეთი ჯდებოდა!

მაგრამ გიორგი ფილიევის მუშაობის „საიდუმლოებას“ რომ გაეცნენ, ყველა მარჯვენას უქებდა. აი თურმე რა შეიძლება მოგვცეს ბუნებრივი რესურსების გონივრულად გამოყენებამ!

გიორგი ფილიევის გამოცდილებამ ბევრს აუხილა თვალი, ყველაზე მტკიცე სკეპტიკოსებიც კი დარწმუნდნენ, რომ ჩვენს კოლმეურნეობებს აქვთ ღორის ხორცის წარმოების დიდი რეზერვები და პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირების საშუალებანი.

მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან გიორგი ფილიევი და მისი მეგობრები. მათ გაზეთებიდან შეიტყვეს, რომ ლვოვის ოლქის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის მეღორემ იაროსლავ ჩიჟმა შარშან 300 ღორი გაასუქა და ღორის ხორცის ჩაბარების შემდეგ საკოლმეურნეო სალაროში 294.479 ათასი მანეთი შეიტანა. ერთი ცენტნერი ღორის ხორცი 224 მანეთი დაუჯდა.

იაროსლავ ჩიჟის მაგალითისამებრ სახელოვანმა მეღორემ გიორგი ფილიევმა და მისმა თანამოსაქმეებმა შალვა ფილიევმა და იასონ გიკაევმა ვალდებულება იკისრეს:

შვიდწლედის მეორე წელს შარშანდელთან შედარებით ღორის ხორცის წარმოება გაზარდონ 80 პროცენტით, 10 პროცენტით გააიაფონ პროდუქციის თვითღირებულება.

მთლიანად კოლმეურნეობა 1960 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის საერთო ბალანსში ღორის ხორცს გაზრდის 80 პროცენტით, ხოლო 1961 წელს — 100 პროცენტით.

საქართველოს ტყეები სავსეა ღორის, ამ მაღალპროდუქტიული პირუტყვის საყვარელი საკვებით, ბუნება უხვად გვაძლევს მეღორეობის განვითარების საფუძველს — იაფ და ყუათიან საკვებს, მხოლოდ საჭიროა ბუნებრივ სიმდიდრეს ვიყენებდეთ ისე, როგორც ამას გიორგი ფილიევი და მისი მეგობრები აკეთებენ.

შ. ჭოჭუა.

